# დღეს ალარავის აუპატიურებენ

*პოპულარულ ტელე თუ რადიოგადაცემებს ასევე პოპულარული ავტორები და წამყვანები ჰყავს. მათ ყველა იცნობს, თითქმის ყველაფერი ვიცით მათი ცხოვრების შესახებ, ქუჩაში თვალს ვაყოლებთ და არც ის ნაირ-ნაირი ჭორები გამოგვეპარება, რომლითაც ასე „განებივრებულები" ვართ მაყურებელ-მსმენელიც და ჭორების ობიექტებიც. პოპულარული ტელე თუ რადიოგადაცემების წამყვანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ეკრანზე იშვიათად ჩანან, მაგრამ ტელემაყურებელი თუ მსმენელი ყოველ საღამოს ელის მათი ხმის გაგონებას. სწორედ „ხმით", თუმცა არა მარტო „ხმით", პოპულარულია სტუდია „აუდიენციის" გადაცემა „ვიდეოპატრულის" ავტორი და წამყვანი ბატონი ზურაბ კვიტაშვილი.*

**— ბატონო ზურაბ, პირდაპირ საქმეზე გადავალ... „ვიდეოპატრულის" მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობა მატულობს...**

— დიახ. თუმცა, „ვიდეოპატრულის" მაჩვენებლები საქართველოში რეალურად არსებულ სიტუაციას მაინც ვერ ასახავს. გადაცემისთვის განკუთვნილი დრო იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ბევრის თქმა. ეტყობა, სახელმწიფოს არცთუ ისე აინტერესებს კრიმინალური სიტუაციის გაშუქება და ანალიზი, თანაც პირველ არხზე. თავად განსაჯეთ, ათი წუთი რეკლამას ეთმობა, წუთ-ნახევარი გადაცემის ქუდს, რამდენიმე წუთი კიდევ რაღაცაში იხარჯება და ინფორმაციის გასაშუქებლად, ძირითადად, რჩება 7-8 წუთი. ამ დროში დიდი-დიდი, ორ სიუჟეტს თუ ჩაატევ.

**— ინფორმაცია დაგვიანებულიც არის, ალბათ?**

— რაზეც ხელი მიგვიწვდება, იმას ვაკეთებთ. რაიონებში სიარული ვერ ხერხდება. 300-400 კმ-ის გავლა, იმ დღესვე უკან დაბრუნება და მასალის მომზადება რეალურად შეუძლებელია ჩვენთვის.

**— თქვენი კორესპონდენტები ან წარმომადგენლებიც არა გყავთ რეგიონებში?**

— არა. ესეც ფუფუნებაა ჩვენთვის. გვაქვს კავშირი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლებთან და ისინიც, საჭიროების შემთხვევაში, კოლეგიალობას იჩენენ და მასალებს გვაწვდიან.

**— რას მიიჩნევთ კრიმინალური სიტუაციის გამწვავების მიზეზად?**

— შიმშილს, უმუშევრობას, ეკონომიკურ სიდუხჭირეს. რომელიმე ცალკეულ ქალაქში ან სოფელში კი არა, საერთოდ, რეგიონებშია უმძიმესი ვითარება. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში. კი ბატონო, მოვლილ კარ-მიდამოს, ბლომად ფრინველ-საქონელსაც რომ დაინახავ, იფიქრებ — ამათ რა უნდა უჭირდეთო, მაგრამ, აბა, სცადეთ, თუ 5 ლარი მაინც იშოვოთ სოფელში. ფული, პრაქტიკულად, არ აქვთ. ეს მძიმე სიტუაცია თავისთავად განაპირობებს დამნაშავეობის ზრდას. ყველა გმირი ვერ იქნება, ყველას ხომ არ შეუძლია გულზე ხელები იბაგუნოს და იმის ნატვრაში იყოს, — ოღონდ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყოს კარგად, ოღონდ პარლამენტარებმა იცხოვრონ მშვიდად, მათმა ცოლ-შვილმა და საყვარლებმა ევროპასა და ამერიკაში იგრიალონ და ჩვენი თავი ჯანდაბასო. მე და თქვენ შეიძლება ვითმენთ, მაგრამ იმავეს ყველას ვერ მოსთხოვ.

**— ეი, კუჭი თავისას ითხოვს, არა?**

— რა თქმა უნდა. გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ გამსახურდიას დროინდელი ლოზუნგები, ოღონდ ქვეყანა თავისუფალი იყოს და ბალახს ვჭამთო. ეს შემართება მანამ ეყოთ, სანამ მართლა არ დაიმშნენ. მერე სამშობლო აღარავის ახსოვდა, ბიუჯეტისა და ბანკების ძარცვას მიჰყვეს ხელი.

**— ბატონო ზურაბ, ბოლო დროს გაუპატიურების მაჩვენებელი რომ 0-ით ფიქსირდება, ამას რით ახსნით?**

— ვილას აქვს გაუპატიურების თავი, საკუთარი ცოლისთვის ველარ მიუხედავთ... ისე წაგვივიდა საქმე, თუ ვინმეს გააუპატიურებენ, ალბათ მადლობა უნდა გადაუხადონ. კომუნისტების დროს, იცოცხლე, იყო ძალადობის შემთხვევები. მაშინ ხალხს ხელფასი ჰქონდა, საარსებო მინიმუმით მაინც იყო უზრუნველყოფილი და თვალიც გაურბოდათ ქალებისკენ. დღეს კი, ფაქტობრივად, აღარავის აუპატიურებენ.

**— ყველაზე სულისშემძვრელ და ყველაზე კურიოზულ დანაშაულებს თუ გაიხსენებთ?**

— ადამიანს ოჯახს რომ ამოუწყვეტენ, ამაზე სულისშემძვრელი რა უნდა იყოს. ვინმეს რომ კლავენ, მის ჭირისუფალსაც ხომ უკლავენ გულს. თუმცა, ოჯახის მარჩენალ, ერთადერთ კვერცხისმდებელ დედალს რომ მოგიკლავენ, ესეც შეიძლება უდიდეს ტრაგედიად იქცეს... ერთი სიტყვით, შემთხვევას გააჩნია.

**— სექტემბრიდან პირველ არხზე მოსალოდნელ რეფორმატულ ცვლილებებში თქვენც ხომ არ მონაწილეობთ?**

— წარმოდგენა არა მაქვს რა კეთდება. 10 წელია, რაც ეგ რეფორმა მიმდინარეობს. ის, რასაც რეფორმა ითვალისწინებს, თითქმის 95% დიდი ხნის წინ მაქვს გაკეთებული. საინტერესოა, სადამდე ეყოფათ „ფანტაზია" რეფორმატორებს?

**— ვის წარმომადგენლად უფრო მიიჩნევთ თავს — „ვიდეოპატრულის" თუ I არხისა?**

— რა თქმა უნდა, „აუდიენციის". ხელფასს აქ მაძლევენ. მართალია, I არხზე პატივი მცეს და არ გამათავისუფლეს, მაგრამ იქ მხოლოდ 30 ლარი მაქვს ხელფასი. აქ კი, „აუდიენციაში", 200 ლარს ვიღებ და, რა თქმა უნდა, მარტივი არითმეტიკის თანახმადაც, იქ სჯობს ყოფნა, სადაც უკეთესი ანაზღაურებაა.

*ეკა ლომიძე*

დასვენება
ოჯახით შავ ზღვაზე
რეალურ ფასად
(ურეკი,
ყოფილი მე-4
სამმართველო,
ადგილები
შეზღუდულია)
ტელ: 99-96-31
93-50-94

ორშაბათი 6 აგვისტო

სამშაბათი 7 აგვისტო

ოთხშაბათი 8 აგვისტო

ხუთშაბათი 9 აგვისტო

პარასკევი 10 აგვისტო

შაბათი 11 აგვისტო

კვირა 12 აგვისტო

ფრთხილად!

რეკლამას ზოგჯერ შეუძლია
გაყიდვინოთ ისიც, რაც თქვენ

რეკლამა „კვირის პალიტრაში" 33-78-07

# „ტელე-სინე-ვიდეოში" სექტემბრიდან ქართული თემატიკა შემოიჭრება

*მერაბ ფიფია „ტელე-სინე-ვიდეოს" ავტორისა და სულისჩამდგმელის, ბატონ ლერი სახაროვის დაჟინებული თხოვნით დადგა პირველად კამერის წინ:*

**— ახლახან ტელევიზიაში გამართულ ტენდერზე გახვედით...**

— როგორც უამრავმა გადაცემამ, ჩვენც მივიღეთ ტენდერში მონაწილეობა. ტელევიზიამ ეს აუცილებელ პირობად წაუყენა ყველას, იმის მიუხედავად, ჰყავს თუ არა გადაცემას მაყურებელი. ჩემი აზრით, თუ გადაცემას მაღალი რეიტინგი აქვს და გულშემატკივართა ნაკლებობას არ უჩივის, არ უნდა გადიოდეს ტენდერზე... ასეა თუ ისე, ჩვენ თითქმის ყველაზე მეტი ქულა მოვაგროვეთ. „ტელე-სინე-ვიდეოს" ბევრი გულშემატკივარი ნამდვილად ჰყავს. ამას ვხვდები ხალხის რეაქციით ქუჩაში, ტრანსპორტში, ყველგან, სადაც მოვხვდები. არ დაგიმალავთ, ეს ძალიან სასიამოვნოა.

**— მაყურებელთა უმეტესობას ნაკლებად აინტერესებს ამა თუ იმ თემის სიღრმე, ფასეულობა, უფრო იოლად გასაგებს და გასართობს არჩევს...**

— ყოველთვის ვცდილობთ, შევინარჩუნოთ გარკვეული დონე. შეიძლება ძალიან რთულ თემაზე ვისაუბროთ ეკრანიდან, მაგრამ მთავარია, შევარჩიოთ ისეთი ფორმა, რომელიც რთულს ადვილად მოსანელებელს გახდის მაყურებლისათვის. ეს აუცილებელია. გადაცემამ უნდა შეგმატოს რამე, უნდა გაგზარდოს ინტელექტუალურად. თუ ასე არ ხდება, მაშინ ფუნქცია დაკარგული აქვს და არც დიდი დღე უწერია... ყველაზე გასართობი გადაცემიდანაც კი რაღაც უნდა მიიღოს მაყურებელმა. მიმაჩნია, რომ გართობით ბევრი რაღაცის სწავლა შეიძლება.

**— თემებს როგორ არჩევთ?**

— მონაცვლეობით ვაშუქებთ თანამედროვე და რეტრო თემებს. ეს იმაზეცაა დამოკიდებული, როგორ მასალას მოვიძიებთ — როგორც ვიზუალურს, ასევე ლიტერატურულს. ვთანამშრომლობთ ამერიკის, საფრანგეთის ტელევიზიებთან. ერთი თვის პროგრამას წინასწარ ვადგენთ ხოლმე.

**— ვიცი, რომ პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევით...**

— ვმუშაობ საფრანგეთის საელჩოს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში „ალიანს ფრანსეს", გარდა ამისა, ლექციებს ვკითხულობ პარლამენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში... ტელევიზია და პედაგოგიკა ჩემთვის განუყოფელია. ერთი — მეორის გარეშე ალბათ ძალიან მოსაწყენი იქნებოდა.

**— თუ საიდუმლო არ არის, შემდეგ ხუთშაბათს რა თემას მიეძღვნება „ტელე-სინე-ვიდეო"?**

— ამჟამად მაყურებელი იხილავს მარგარეტ მიტჩელის „ქარწაღებულნისადმი" მიძღვნილი გადაცემის პირველ და მეორე ნაწილს. ისე, ამ ზაფხულს, ძირითადად, განმეორდება ძველი ჩანაწერები. საინტერესო პროგრამას ვამზადებთ სექტემბრისათვის — გადაცემები მიეძღვნებათ ნატალი ვუდს, ელისო ბოლქვაძეს, ლაგვილავების ოჯახს, ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის სიყვარულს, რომელსაც „კახური ამბავი" დავარქვით... ანუ, როგორც ხედავთ „ტელე-სინე-ვიდეოში" აქტიურად შემოიჭრება ქართული თემატიკა.

*ეკა მახარაშვილი*

# გინდათ იყოთ რეზო ჩხეიძის ახალი ფილმის პროდიუსერი?

გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი, მათ შორის კანის, ედინბურგის, სან-ფრანცისკოს, მოსკოვის, დელის და სხვ., დამდგმელი ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ფილმებისა, როგორიცაა „ჯარისკაცის მამა", „მაგდანას ლურჯა", „ჩვენი ეზო", „დონ კიხოტი" და ა.შ. ბატონი რეზო ჩხეიძე იწყებს გადაღებას სათავგადასავლო, სრულმეტრაჟიანი ფერადი მხატვრული ფილმისა „ქრისტეს საფლავზე ანთებული სანთელი".

სცენარს საფუძვლად დაედო ნობელის პრემიის ლაურეატის სელმა ლაგერლოფის მოთხრობა.

ფილმის გადაღებები იწარმოებს საქართველოში, ისრაელში (იერუსალიმში), თურქეთში, ლიბანში. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოური კინოს გამოჩენილი ოსტატები. ფილმში გამოყენებული იქნება ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, საბალეტო და ხალხური ქორეოგრაფიული ნომრები.

„ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელი" სიყვარულის, თავდადებისა და საქართველოს უკვდავი სულის სადიდებელი ჰიმნი იქნება.

ფილმზე მუშაობა დაიწყება ა.წ. ოქტომბერს და დასრულდება მომავალი წლის ოქტომბერში.

ფილმის შესაქმნელად ხარჯების 2/3-ს უცხოელი ინვესტორი გაიღებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავადვე გაიტანს და წარადგენს ევროპისა და რუსეთის კინობაზარზე.

ვეძებთ პარტნიორს, რომელიც ფილმისათვის გამოყოფს ინვესტიციას, რაც შეადგენს არა უმცირეს 150.000 აშშ დოლარს. ინვესტორი ფილმის სრულუფლებიანი მონილე-პროდიუსერი იქნება.

დებულების თანახმად, ფილმის ტიტრებში (წარწერებში) კინოსტუდია „ქართული ფილმის" უცხოელ ინვესტორებთან ერთად, თქვენი სურვილისამებრ დაფიქსირებული იქნებით თქვენ და თქვენი ფირმაც.

მსურველებს, ვისაც სურს მონაწილეობის მიღება ამ მეტად საშურ და მამულიშვილურ საქმეში, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონებზე:

52 06 27; *52 09 45*
*52 09 10 (ფაქსი) კინოსტუდია „ქართული ფილმი"*
*899 16 72 00*
*სს „ქართული ფილმის" გენერალური დირექტორი რეზო ჩხეიძე*